

**თბილისის განო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორია**

bელჩაწერის უფლებით

ნატალია ალექსის ასული ვოლჩენკო

**დავით ანდრულაძის ვოპალური
მეთოდიკა, როგორც ფონაციური
აპარატის დაცვითი მექანიზმი**

**სამუსიკო ხელოვნების დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის**

ა ვ ტ ო რ ე ვ ე რ ა ტ ი

სპეციალიზაცია – სოლო აკადემიური სიმღერა – 080506

თბილისი, 2011 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **ელდარ გეწაძე**
ასოც. პროფესორი

კონსულტანტი: **ლეილა მარუაშვილი**
მუსიკოლოგის დოქტორი,
ასოც. პროფესორი

ექსპერტი: **თამაზ ცერიაშვილი**
ბათუმის ხელოვნების სახწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2011 წლის „29“ აპრილი
15.00 საათზე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს
სხდომაზე №7.

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8, თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორია, IV სართული, აუდიტორია
№ 421.

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის
ვებ-გვერდზე: <http://www.conservatoire.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს
სწავლული მდივანი

ეკატერინე ონიანი
მუსიკოლოგის დოქტორი,
ასოც. პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თანამედროვე კოკალური ლიტერატურა შემსრულებლის წინაშე მთელ რიგ სირთულეებს წარმოაჩენს, მათ შორისაა: კოკალური ტექნიკისა და სამსახიობო ოსტატობის ერთობლიობის სრულყოფილად ფლობის აუცილებლობა, გამომხატველი საშუალებების მარაგის გაფართოებისაქნ სწრაფვა, მისი შევსება ახალი ტემბრული და დინამიკური ელფერით, რეგისტრის რეჟიმების გამოყენების ცოდნა. როგორც სიმდერის პრაქტიკა გვიჩვენებს, თანამედროვე კოკალური მუსიკა მომღერლისადმი საქმაოდ რთულ ტექნიკურ და შემოქმედებით მოთხოვნებს აყენებს, მათი დაძლევა ხმისთვის ზიანის მიყენების გარეშე მხოლოდ იშვიათ და კარგად გამობრძმედილ ხმებს შეუძლიათ. ამ ასპექტში მომღერლის ფონაციური აპარატის დაცვის ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული საშუალება დ. ანდლულაძის კოკალურ მეთოდში ძეგს.

ხმის ჩამოყალიბების რეზონანსული პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს შესასწავლ მეთოდს, მომღერალს საშუალებას აძლევს მიაღწიოს ხმის მოცულობას, სიმსუბუქეს, პრაქტიკულ დაუდლებლობასა და პროფესიულ სცენაზე მის ხანგრძლივ მოღვაწეობას. რეზონანსის დირსებებს მიეკუთვნება, აგრეთვე, ყველაზე მთავარი – ეს არის ხმის იოგების დამცავი ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს მათი რხევის მექანიზმის კომფორტულ ფუნქციონირებას და სიმდერის დროს შესაძლო ფიზიკური გადატვირთვისგან დაცვას. დღესდღეობით დ. ანდლულაძის კოკალური სწავლება, რომელიც ნამდვილი ბელკანტური სათავეებიდან მოდის, წარმოადგენს ფუნდამენტურ ბაზას, რომელიც ხელს უწყობს საყრდენი ჟღერადობის დაუფლებას, ზუსტ არტიკულაციას, რაც მსახიობის თეატრალური ოსტატობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის ობიექტად დ. ანდრეულაძის ვოკალური მოძღვრება შეირჩა, რომლის პაზაზე მეოცე საუკუნის ცნობილი მომღერლების მთელი პლეადა აღიზარდა: ზ. ანჯაფარიძე, ზ. სოტკილავა, ნ. ანდრეულაძე. დ. ანდრეულაძის კლასი დაამთავრა დაახლოებით ორმოცმა მაღალ-კვალიფიცირებულმა მომღერალმა, რომელთაც საერთო შემოქმედებითი პრინციპები და ვოკალურ-ტექნიკური ბაზა ჰქონდათ, მაგრამ ამავდროულად ახასიათებდათ მკვეთრი ინდივიდუალურობა. ოპერის ოფერში დ. ანდრეულაძის ვოკალური სწავლების მიმდევრებთან მრავალწლიანმა თანამშრომლობამ, უამრავმა კონსულტაციამ სხვადასხვა საოპერო პარტიის შესრულების თაობაზე და შემდგომ ერთობლივმა მუშაობამ კონსერვატორიაში ამ ნაშრომის ავტორს, საკვლევი მეთოდის დეტალურად შესწავლის საშუალება მისცა და დაარწმუნა, რომ საიმედო მეთოდურ საფუძველს შეუძლია დიაცვას მომღერლის ხმის აპარატი სხვადასხვა სტილისა და მიმართულების ვოკალური ნაწარმებების შესრულებისას.

დ. ანდრეულაძე, რომელმაც თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში ფასდაუდებელი სცენიური გამოცდილება მიიღო, გარკვეულწილად იყო პედაგოგი-პრაქტიკოსი. მრავალი პედაგოგიური ხერხი, პირადი აღმოჩენები, დაფუძნებული ინტუიციაზე, ამავდროულად შესწავლილ და დამტკიცებულ იქნა XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერების – ფიზიოლოგებისა და ფონიატრების: ლ. რაბორნოვის, რ. იუსონის, ნ. უინჯინის, მ. ნოზაძის მიერ. სასიმღერო ხელოვნების გამოჩენილი მკვლევრების სამეცნიერო ნაშრომებმა საგრძნობლად გააფართოვა ცოდნა საოპერო მომღერლების ხმათა აკუსტიკური შესაძლებლობებისა და იმ ფიზიოლოგიური პროცესების შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვს ვოკალური შემსრულებლობის დროს. ამგვარად, ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე პერიოდში

მიმდინარე იმ სამეცნიერო კვლევების შედეგების განხოგადება, რომლებიც ეხება სასიმღერო პროცესის ფიზიოლოგიას, ხმის აკუსტიკასა და ვოკალურ მეტყველებას.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია დ. ანდრულაძის ემპირიული გამოცდილების განხოგადების საფუძველზე, რომელიც დაფიქსირებულია საარქივო წყაროებსა და კვლევებში, მისცეს მომღერლებსა და ვოკალის პედაგოგებს რეალური წარმოდგენა და საბაზო ცოდნა სასიმღერო მუსიკალური ინსტრუმენტის ფორმირებასა და ფონაციური პროცესის კორექციის თავისებურებებზე. რამდენადაც, ამ ნაშრომის მიზანი, ერთი მხრივ, დ. ანდრულაძის ვოკალური სწავლების პედაგოგიური პოსტულატების გააზრებაა, ხოლო მეორე მხრივ, – შესასწავლი მეთოდიკის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობის გამოვლენაა. კვლევა რამდენიმე მართულებით წარიმართა:

- დ. ანდრულაძის სწავლების მეთოდოლოგიური ასპექტების დეტალური აღწერა;
- ქართველი პედაგოგის კლასის იმ საუკეთესო წარმომადგენლების მიზანდასახული ინტერვიურება, რომლებიც წარმატებით იყენებენ დ. ანდრულაძის მეთოდოლოგიურ ასპექტებს თავიანთ პედაგოგიურ პრაქტიკაში;
- დ. ანდრულაძის სწავლების და XIX საუკუნის კლასიკურ ბელკანტურ სკოლებში დამკვიდრებული მეთოდოლოგიური კავშირების ანალიზი;
- დ. ანდრულაძის ვოკალური მეთოდის ძირითადი მახასიათებლების – სუნთქვის ტექნიკის, ხმის მოხურვის და რეზონანსული სისტემის როგორც ფონაციური აპარატის დამცავი ფუნქციის – კვლევა;
- XX საუკუნის კომპოზიტორის ვოკალური ციკლის საშემსრულებლო ანალიზი დ. ანდრულაძის ვოკალური სწავლების საფუძველზე.

პელევის სამეცნიერო სიახლე

დ. ანდოულაძის ვოკალური სწავლება პირველად განიხილება, როგორც მომღერლის ხმის ფონაციური აპარატის დამცავი მექანიზმი თანამედროვე საოპერო ჟანრისა და კამერულ-ვოკალური ნაწარმოების შესრულების დროს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომი სასარგებლო იქნება ვოკალის პედაგოგების, საბაზო მუსიკალური სასწავლებლების მოსწავლეების, უმაღლესი მუსიკალური სასწავლებლების სტუდენტების, ვოკალური პედაგოგიკის, მეთოდიკის მკვლევრებისთვის. ძირითადი დასკვნები დაეხმარება პროფესიონალ შემსრულებლებს დაძლიონ თანამედროვე ვოკალური მუსიკისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური შემოქმედებითი და ტექნიკური პრობლემები. ნაშრომი შეიძლება იქნეს გამოყენებული მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოდ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულების სპეციალურ, საოპერო, კამერულ და ვოკალური ანსამბლის კლასში.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველი

გამოკვლევას საფუძვლად დაედო მონაცემები დ. ანდოულაძის პირადი არქივიდან და ხელნაწერებიდან: „რეზონატორები და სუნთქვა“, „სტანისლავსკის სისტემის გამოყენება საოპერო თეატრში“. გამოყენებულია ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება დ. ანდოულაძის შემოქმედებითსა და პედაგოგიურ მოღვაწეობას: ი.ათანელოვი „დავით ანდოულაძე“, ნ. ვარშანიძე „ვოკალური პედაგოგიკის საკითხები“ და „დავით ანდოულაძე“. ვოკალურ-მეთოდური გამოცდილების ამსახველი ინტერვიუები დ. ანდოულაძის სკოლის გამოჩენილ წარმომანდგენლებ-

თან: 6. ანდლულაძესთან, ზ. სოტკილავასა და ე. გეწაძეს-
თან – დაქმარა დისერტაციის ავტორს დეტალურად
გარკვეულიყო შესასწავლი მეთოდიკის პედაგოგიურ და
მეთოდურ პოსტულატებში. სადისერტაციო ნაშრომის
მეთოდოლოგიას საფუძვლად დაედო ვოკალურ-მეთოდო-
ლოგიური ლიტერატურის დეტალური შესწავლა: ა. მუ-
ხებოლდის, ი. ნაზარენკოს, ლ. დმიტრიევის, გ. გერბერ-
შვერდლერემის, 6. ანდლულაძის, კ. მოროზოვის, ს. იუდი-
ნის, ა. იუვარას, გ. მორდვინოვის, „ვოკალური პედაგოგიკის
საკითხების“ შვიდტომეულის სრული გამოცემა. გამოჩენი-
ლი ფონიატრების ლ. რაბოტნოვის, ნ. ჟინკინის, რ. იუსო-
ნის, კ. მოროზოვის და მ. ნოზაძის სამეცნიერო კვლევე-
ბის გამოკვლევაშ დისერტანტს მისცა პარალელურის გაფ-
ლის შესაძლებლობა დ. ანდლულაძის პედაგოგიურ პოს-
ტულატებსა და თანამედროვე ფიზიოლოგიის მსოფლიო
აღმოჩენებს შორის.

ნაშრომის აპრობაცია

დისერტაციაშ აპრობაცია გაიარა თბილისის ვანო
სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატო-
რიის სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულების
სხდომაზე 2010 წლის 15 დეკემბერს და მიიღო რეკომენდა-
ცია დაცვისთვის.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები
გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო პუბლიკაციის სახით.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია მოიცავს 94 ნაბეჭდ გვერდს. იგი შედგე-
ბა წინასიტყვაობის, ექვსი თავისა და დასკვნებისაგან.
ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურის
ნუსხა (72 დასახელება) და დანართი (სქემები და სავარ-
ჯიშოები).

ნაშრომის შინაარსი

წინასიტყვაობა ასრულებს შესავლის როლს. მასში – დასაბუთებულია საღისერტაციო ნაშრომის კვლევის საგნის აქტუალურობა. მოცემულია კვლევის ობიექტის საერთო დახასიათება. შესავალში წამოჭრილია დისერტაციის ერთ-ერთი მთავარი საკითხი – დ. ანდლულაძის ვოკალური მოძღვრების, როგორც ვოკალისტის ფონაციური აპარატის დამცავი საშუალების, მისი დანიშნულების გააზრება თანამედროვე ვოკალური მუსიკისთვის დამახასიათებელი ტექნიკიებთან მიმართებაში.

I თავი – სუნთქვა დ. ანდლულაძის ვოკალურ მეთოდიკაში

დ. ანდლულაძე სამდერი სუნთქვის ფლობას სამართლიანად მიიჩნევდა ვოკალური ტექნიკის ძირითად პოსტულატად. აღსანიშნავია, რომ სუნთქვის დაყოფა ტიპებად, რაც მიღებული იყო XIX და XX საუკუნეების ვოკალურ მეთოდოლოგიაში, საკმაოდ პირობითია. სამეცნიერო კვლევამ აჩვენა, რომ სიმღერაში პრაქტიკულად არ არსებობს სუნთქვის სუფთა ტიპები. იმისათვის, რომ სრულად შევაფასოთ დ. ანდლულაძის მეთოდიკაში ფონაციური სუნთქვის შესახებ მეთოდოლოგიური პოსტულატების პროგრესულობა და მათი აშკარა აქტუალურობა თანამედროვე ვოკალურ პედაგოგიკაში, დისერტაციაში ისტორიულ ჭრილშია მიმოხილული სასიმღერო სუნთქვისადმი მეთოდური მიდგომები, რომლებიც გამოიყენებოდა ვოკალის კლასიკურ სკოლებში. ნაშრომში მოყვანილია ძირითადი პოსტულატები ფონაციური სუნთქვის საკითხების შესახებ, რომლებიც ეპუთვნის XIX საუკუნის ვოკალის გამოჩენილ პედაგოგებს: მ. გარსიას, ფ. ლამპერტის, ს. იუდინის, ე. ვრონსკის. ნაჩვენებია, რომ სუნთქვის ტიპი შეიძლება იყოს ცვალებადი, რადგან მომღერალი, რომელიც მდერის სცენაზე, არ არის უძრავი, ხოლო ფიზიკური მოძრაობა განაპირობებს

სხვადასხვა მეთოდებით სუნთქვას. დ. ანდლულაძეს მიუღებ-ლად მიაჩნდა ზემოთ ჩამოთვლილი სუნთქვის ტიპები. ის დაჟინებით ითხოვდა განსაკუთრებული ფონაციური სუნთქვის გამოყენებას.

დ. ანდლულაძე აღნიშნავდა, რომ სუნთქვითი ფუნქ-ცია ფონაციის დროს განსხვავდება ჩვეულებრივი სასი-ცოცხლო სუნთქვისაგან. სასიმღერო სუნთქვის ამგარი გაგება ფიზიოლოგიური ოვალსაზრისით სრულ ახსნას პოვებს ლ. რაბოტნოვის პარადოქსალური სუნთქვის თეორიაში. დ. ანდლულაძეს მთელი შემსრულებლობი-თი მოღვაწეობის განმავლობაში სასიმღერო სუნთქვის სხვადასხვა ტიპის გამოყენება მოუხდა. სუნთქვის ოპტი-მალურად მისაღები ხერხის ძიებაში დ. ანდლულაძე თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში ეყრდნობოდა ლ. რაბოტ-ნოვის კვლევებს. 1932 წელს მას წამოაყენა პიპოთეზა ბრონქიალური სისტემის როლზე სასიმღერო ბგერის ჩამოყალიბებაში. ამ პიპოთეზის მთავარი დასკვნა იყო სიმღერისას ჩასუნთქვის სიფრმისა და ამოსუნთქვის ძა-ლის მინიმიზაცია (პარადოქსალური სუნთქვა). ლ. რა-ბოტნოვმა კვლევების შედეგად მომდერლების ხმის განვი-თარებისათვის მეთოდური სქემა შექმნა. როგორც ცნობი-ლია, ლ. რაბოტნოვი ტერმინ „დაყრდნობისადმი“ უარყო-ფითად იყო განწყობილი, რადგან მას განუსაზღვრელად და ბუნდოვნად აღიქვამდა. მაგრამ დ. ანდლულაძე თავის მოსწავლეებს ყოველთვის უვითარებდა ბგერასა და სუნთქვაზე დაყრდნობის გრძნობას. მას არ მიაჩნდა, რომ ეს უარყოფს ლ. რაბოტნოვის თეორიის ძირითად დე-ბულებებს. დ. ანდლულაძის მეთოდიკის თანახმად, სუნთქვის დაუფლების მოცემულ ტექნიკას შეუძლია არა მარტო ბუნებრივი გზით გააფართოვოს ხმის შესა-ძლებლობები, არამედ, აგრეთვე, მისცეს სიფართოვე და ერთგვაროვნება მთელი მისი ემისიის განმავლობაში.

ლ. რაბოტნოვის თეორიის მომხრეები გახდნენ მეცნიერი-ფსიქოლოგი და ლინგვისტი ნ. უინკინი, და მეცნიერი-ფონიატრი რ. იუსონი, რომელმაც მ. გარსიას მიო-ელასტიკური თეორიის უარსაყოფად შექმნა ნეიროქრონაქსიკური თეორია. ლ. რაბოტნოვის მიერ მოცემული დიაფრაგმის პარადოქსალური მოძრაობის კვლევის მონაცემების შესწავლით, დ. ანდლულაძემ გამოიმუშავა ფონაციური სუნთქვის ეფექტური მეთოდი.

ამგვარად, XX საუკუნის გამოჩენილი მეცნიერების, მკვლევრების აღმოჩენების მოკლე პანორამა ფიზიოლოგიისა და ფონიატრიის დარგებში, დ. ანდლულაძის სასიმდერო სუნთქვასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიური აღმოჩენების პროგრესულობას სრულიად ამტკიცებენ და ასაბუთებენ.

დ. ანდლულაძის მეთოდიკაში სუნთქვა განიხილებოდა როგორც შემოქმედებითი, და არა მექანიკური, პროცესი. დ. ანდლულაძე სასიმდერო სუნთქვის სრულყოფის პროცესის დროს, ისევე როგორც კ. სტანისლავსკი, მივიდა ინდური იოგების სისტემასთან. ეს მეთოდი ზურაბ ანჯაფარიძისა და ზურაბ სოტკილავას ხმის აღდგენისას იმთავითვე იყო გამოყენებული.

ფონაციური სუნთქვის ტრენინგის ამოცანაა სუნთქვის ადგილად, რეფლექტორულად „გადართვა“ სხვადასხვა რიტმებში, რაც ფონაციური პროცესის განსხვავებული თვისებითაა ნაკარნასები. მოცემული მდგომარეობა სრულიად ითვალისწინებს სუნთქვის „პარადოქსალურობის“ თეორიას. დ. ანდლულაძის კლასში ისევე, როგორც სტანისლავსკის სისტემაში, გამოიყენებოდა ინდოელი იოგების ვარჯიშები.

ვოკალური პედაგოგიკა ითვალისწინებს კავშირს ისეთ ცნებებს შორის, როგორიცაა სასიმდერო ხმის ხარისხი და სუნთქვის დინება, რომელიც ინარჩუნებს ინტონა-

ციის სისუფთავეს, ბგერის რიტმულ წყობას და აკეთილ-შობილებს ტემპერს. სუნთქვაზე მუშაობამ დ. ანდლულაძე დაახლოვა ცნობილ ქართველ ფონიატრთან მ. ნოზაძესთან. მათი თანამშრომლობის შედეგად ოსტატის გენიალურმა სასიმღერო ინტუიციამ მიიღო სამეცნიერო დასაბუთება, რომელიც დ. ანდლულაძის მეთოდური შეხედულებების პროგრესულობას ამტკიცებს.

II თავი – ხმის მოხურვის ტექნიკა

„მოხურვა“ – სასიმღერო ხმის ძირითადი ფიზიოლოგიური დამცავი მექანიზმია, რომლის გამოყენება ვოკალურ პრაქტიკაში უზრუნველყოფს ხარისხიან ფონაციას ბგერის წარმოქმნის ორგანოების კარგ და მდგრად მდგომარეობაში ყოფნის დროს. გარდამავალი ბგერების „მოხურვა“ სასიმღერო ხმის ფიზიოლოგიური მექანიზმის ყველაზე მნიშვნელოვანი დაცვაა.

დიაპაზონის ზედა ნაწილის თავისუფალი ფლობა დ. ანდლულაძის სკოლის წარმომადგენლების თავისებური სავიზიტო ბარათია. დ. ანდლულაძის მეთოდის სახასიათო თავისებურებაა – გარდამავალ ნოტებზე დია ხმოვნების აუცილებელი მოხურვა და, ამავდროულად, სუნთქვისა და დიაფრაგმის მდგომარეობის კონტროლი. დ. ანდლულაძის სკოლის წარმომადგენლებისთვის დამახასიათებელია სრული ოროქტავიანი დიაპაზონის, გასწორებული ხმის სრულყოფილი ფლობა მთელ გაყოლებაზე, იმ ზედა მონაკვეთზეც კი, სადაც ახალბედა მომღერალი ფალცეტით მღერის. თანამედროვე საოპერო მომღერლების სიმღერის ტექნიკა ადსავსეა აუსენელი პარადოქსებით, რომლებსაც ობიექტური მიზეზების გამო, ყოველთვის არ ითვალისწინებენ თვით მომღერლებიც კი. ხმის ჟღერადობა თანამედროვე საოპერო სცენაზე ითხოვს ე.წ. „ახლო მოხურვას“, როცა ზედა ბგერები იძენენ დიდ ჰაეროვნებას და მოცულობითობას, და ამავე დროს არ კარგავენ ჟღერადობის

მეტალურობასა და ბზინგარებას. მოცემულ მეთოდიკაში „მოხურვა“ შეიცავს ორ მომენტს: ბგერის გამუქებასა და მიქსირებას, ანუ თავისა და მკერდის რეგისტრების შეერთებას. ზ. სოტკილავასა და ე. გეწაძის კლასებში მოხურვის მეთოდის გარდამავალი რეგისტრების დეტალური აღწერილობა საკვლევი მეთოდის სრული წარმოდგენის საშუალებას გვაძლევს.

დ. ანდლულაძის მეთოდიკაში ხმის მოხურვის, როგორც ფონაციური აპარატის დამცველის, შესაძლებლობები თანამედროვე ფიზიოლოგის მონაცემებითაც დასტურდება.

III თავი – რეზონანსი

რეზონანსი არის ისეთი აკუსტიკური ფენომენი, რომელიც მეტწილად განსაზღვრავს ხმის ხარისხს. რეზონანსი ამსუბუქებს ხმის იოგების სწორ ფუნქციონირებას. მეთოდი, რომელიც შესწავლილია ნაშრომში, საგრძნობლად განსხვავდება სხვა მეთოდებისგან. ხმის დაყენებისას თავიდანვე მნიშვნელოვანი ყურადღება ენიჭება რეზონანსის. ძირითად მომენტს წარმოადგენს ნათელი ტემპრი, განსაკუთრებით შესწავლის საწყის სტადიაზე, რაც გვაძლევს საშუალებას შევიგრძნოთ ბგერის მოქნილობა, მოძრაობა და სიმკვეთრე. რეზონანსი დ. ანდლულაძის ვოკალური მეთოდის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომელსაც პედაგოგი უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა. მხოლოდ რეზონანსის ფლობით შეუძლია მომდერალს თავისი „ვოკალური“ სიცოცხლის გახანგრძლივება. რეზონატორების დამცავი ფუნქცია მჟღავნდება ხორხისა და ხმის იოგების დაცვაში ზედმეტი დაძაბულობის, გადატვირთვისა და პროფესიული დაავადებებისაგან. მომდერლის ხმის ერთ-ერთი ძირითადი დამცავი მექანიზმი განისაზღვრება იმით, რომ სასიმღერო რეზონატორები გარკვეული ოპტიმალური აწყობის დროს ხელს უწყობენ პირველადი ბგერითი ხმოვა-

ნი იოგების აპარატის გაძლიერებას ე.წ. მარგი ქმედვ-
ბის კოეფიციენტის ხარჯზე. ასეთ შემთხვევაში მომდე-
რალს, დამატებითი ფიზიკური ძალისხმევის გარეშე, ხმის
მეტი სიძლიერის მისაღწევად ეძლევა საშუალება არ
დაძაბოს ხორხი. ამის საწინდარია – სწორი რეზონანსუ-
ლი წყობა. დ. ანდლულაძის მეთოდის მიხედვით, რეზო-
ნანსული მდერის ტექნიკა აქტუალურია სრული დიაპაზო-
ნის ფლობისათვის, იგი, აგრეთვე, ეხმარება მომდერალს
დარბაზის ნებისმიერი აკუსტიკური თავისებურებების
გადალახვაში.

IV თავი – მომდერალი-მსახიობი

მკაფიო დრამატული სახის და არა უბრალოდ სასცენო
შტამპის, შექმნის უნარი მომდერლის უხვი ბუნებრივი
მონაცემების, ნიჭის მუდმივი განვითარებისა და დახვე-
წის ეკვივალენტურია. დ. ანდლულაძე ჰეშმარიტად შეი-
ძლება მივაკუთნოთ ასეთი ოსტატების რიცხვს. დ. ანდ-
ლულაძის, როგორც მსახიობ-შემომქმედის ფორმირება-
ზე უმნიშვნელოვანესი ზეგავლენა იქონია თეატრის გა-
მოჩენილი რეფორმატორის კ. სტანისლავსკის პრინციპე-
ბის სიღრმისეულმა შესწავლამ და ათვისებამ. ოსტატის
მთელი სასცენო მოღვაწეობა ეყრდნობა სამსახიობო
რეალიზმის მთავარ წესს: „არ შეიძლება დიდი შინაგა-
ნი სიმართლის არევა გარეგან დამაჯერებლობის მსგავ-
სებასთან“ (დ. ანდლულაძე, „კ.სტანისლავსკის სისტემის
გამოყენება ოპერის თეატრში“).

დ. ანდლულაძე ფლობდა მსახიობის მთავარ თვისეფ-
ბას – სასცენო გარდასახვის ოსტატობას. ოპერის სცე-
ნაზე დ. ანდლულაძემ რუსი, დასავლეთ-ევროპელი და
ქართველი ავტორების ოპერებში დაახლოებით ოცდაათი
როლი შეასრულა, ყოველი ოპერის შესრულებისას ის
ქმნიდა თვითმყოფად და განუმეორებელ სახეს. სახეე-
ბის მკვეთრ პალიტრას ახასიათებს პერსონაჟების შექ-

მნის დრმა ინდივიდუალურობა. ეს უზარმაზარი შინაგანი თავშეკავებულობა, ემოციური გადაჭარბების გარეშე, ხასიათის კეთილშობილებისა და ნებისყოფის თვისებების ხაზგასმა, მის გმირებს ამაღლებულ ელფერს აძლევდა. დ. ანდლულაძის მაღალი მხატვრული მიღწევები ეყრდნობოდა ნატიფ ვოკალურ ოსტატობას. მაგრამ მსახიობისთვის ტექნიკა არ წარმოადგენდა თვითმიზანს. ის, როგორც ვოკალისტის სასცენო ოსტატობის საფუძველი, მხოლოდ მხატვრული გამოხატულების საშუალებად რჩებოდა. დ. ანდლულაძის განსაკუთრებული შრომისუნარიანობა ხელს უწყობდა როლის სისტემატიურ სრულყოფას. ის არცერთ პარტიას არ თვლიდა ბოლომდე დამუშავებულად, მთელი თავისი შემოქმედებითი გზის მანძილზე საოპერო გმირების მხატვრული სახეები მუდმივად მდიდრდებოდა ახალი ნიუანსებით.

V თავი – ფონაციური აპარატის დაცვის აქტუალურობა თანამედროვე ვოკალურ ლიტერატურაში

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია XX-XXI ს. ვოკალური ნატარმოებების შემსრულებლობისთვის დამახასიათებელი პრობლემები, რომლებიც მომღერლისთვის მნიშვნელოვან ვოკალურ-ტექნიკური სინქელების რიცხვს განეკუთვნება. ვოკალური თეორიისა და პრაქტიკის ერთერთი მწვავე და გადაუწყვეტელი პრობლემა ისაა, თუ რამდენად ფიზიოლოგიური ან არაფიზიოლოგიურია, რამდენად საზიანო ან დასაშვებია თანამედროვე მუსიკის შესრულება საოპერო და კამერული ჟანრის ნატარმოებების შემსრულებლისთვის. თანამედროვე კომპოზიტორების შემოქმედებაში საგრძნობლად შეცვლილია დამოკიდებულება მელოდიისადმი, მის ინტონაციურ, ინტერვალურ წყობასთან. მომღერლისთვის მოსახერხებლად დაწყობილი მელოდიური ხაზის ნაცვლად ჩნდება ხმისთვის უზვეულო ნახტომები ფართო ინტერვალებზე. მრავალი

გამოჩენილი მომღერლის აზრი, ამ საკითხთან დაკავშირებით, ერთმნიშვნელოვანი და კატეგორიულია: თანამედროვე მუსიკის შესრულება სამღერ აპარატს საფრთხის წინაშე აყენებს. ამ აზრს თანამედროვე მომღერლების უმრავლესობა იზიარებს.

ამ კუთხით აღსანიშნავია XX საუკუნის მუსიკის კოდევ ერთი თავისებურება – ხმისთვის ვოკალურად მოუხერხებელი ტესიტურის გამოყენება. ხშირად დაბალი ხმისთვის განკუთვნილ ვოკალურ პარტიებში ფართოდ გამოიყენება მაღალი ტესიტურა. და პირიქით, მაღალი ხმები უნდა შეეწყონ შესწავლის პროცესში უჩვეულო და ნაკლებად დამუშავებულ დაბალ ტესიტურას. არანაკლებ მნიშვნელოვანია თანამედროვე ნაწარმოებებში ორკესტრის დიდი შემადგენლობის და მძლავრი დინამიკური ჰდერადობების გამოყენება, რაც ხშირად ჩრდილავს, აბნევს მომღერალს. სწორედ ამით არის განპირობებული თანამედროვე ვოკალური ნაწარმოებების შესრულების მეთოდოლოგიაში წინა პლანზე ინტონირების პრობლემის წამოწევა. ამგვარად, პრობლემა სულაც არ არის აღვილი, იგი წინააღმდეგობრივიცაა: ვოკალური მუსიკის განვითარების ახალი თანამედროვე პირობები ითხოვს მეთოდურად მრავალმხრივ მომზადებულ შემსრულებლებს. თანამედროვე ოპერა და ვოკალურ-კამერული ჟანრი ვოკალური ხელოვნების წინაშე ურთულეს პრობლემებს აყენებს. შესაბამისად, მომღერალს, რომელიც ახალი დროის ნაწარმოებებს ასრულებს, ესაჭიროება შესაბამისი ვოკალურ-ტექნიკური ბაზა, რადგან მომღერლის სამღერი აპარატის ფიზიოლოგიური შესაძლებლობები არ არის უსაზღვრო.

პრობლემების გადაჭრის გზად გვესახება დ. ანდლულაძის ვოკალური მეთოდიკა, რომელიც საიმედოდ იცავს ვოკალისტის ხმას ტრაგმირებისგან. რეზონანსული ტექნიკის, სამღერი სუნთქვისა და ბგერის დაფარვის ხერხების

მიზანდასახული და მეთოდურად სწორი გამოყენება თანამედროვე მუსიკის შესრულებისას მომღერლის ვოკალური შესაძლებლობების საუკეთესო დაცვაა. დ. ანდლულაძის სკოლა, რომელსაც გააჩნია ბელკანტური სათავეები, წარმოადგენს ბაზას, რომელიც მომღერალს საურდენი ედურადობისა და მკაფიო არტიკულაციის დაუფლებაში ეხმარება. აღსანიშნავია, რომ განხილული მეთოდიკა აუცილებელ პირობად ითვალისწინებს სასიმღერო ბგერის კლასიკური, ტრადიციული ელერადობის ათვისებას. ასეთი ხერხით დამუშავებული ვოკალური ტექნიკა თანამედროვე ოპერების ვოკალური პარტიებისა და კამერული ნაწარმოებების შესრულებას საფუძვლად ედება.

VI თავი – დიმიტრი შოსტაკოვიჩის ვოკალური ციკლის „სატირების“ ვოკალურ-მეთოდური ანალიზი დ. ანდლულაძის მეთოდიკის საფუძველზე

დ. შოსტაკოვიჩის ვოკალური ნაწარმოებების შესრულება მომღერლისთვის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა. დ. ანდლულაძის მეთოდით ხმის დაყვნების ვოკალურ-მეთოდური სისტემა დაეხმარება ვოკალისტს წარმატებით დაძლიოს მხატვრულ-საშემსრულებლო და ტექნიკურ სიძნელეები. ნაშრომში მაგალითისთვის მოყვანილია დ. შოსტაკოვიჩის ტექნიკური სირთულეების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ვოკალური ციკლის „სატირების“ (საშა ჩორნის პოეზიის მიხედვით) მეთოდური გარჩევა. ციკლის მხატვრული შინაარსის მუსიკალური ანალიზი დაეხმარა დისერტაციის ავტორს ვოკალურ-საშემსრულებლო საშუალებებისა და ხმის ტემბრული ფერების შერჩევაში, ტესიტურული სიძნელეების დაძლევასა და მხატვრული სახეების სცენიურ გარდასახვაში.

დ. შოსტაკოვიჩის ნაწარმოებებზე მუშაობის დაწყებისას ვოკალისტები მრავლად აწყდებიან შესრულების ვოკალურ-ტექნიკურ სიძნელეებს, ამ რიგისაა: კილოს

არამდგრადობა, რიტმული შესაძლებლობების მრავალფეროვნება, რთული ჰარმონიული ენა, დისონანსების სიუხვე, მოუხერხებელი ფართო ინტერვალები. ვოკალისტისთვის სიძნელეების სხვა ასპექტს წარმოადგენს დ. შოსტაკოვიჩის ნაწარმოების განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ქვეტექსტის მქონე შინაარსის ემოციური გააზრება.

დ. ანდრულაძის მეთოდიკის გამოყენება დაეხმარება შემსრულებელს ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების ამონესნაში. იგი ხელს შეუწყობს მომდევრალს თანამედროვე მუსიკის საშემსრულებლო თუ მხატვრული ამოცანებისა და მოთხოვნების დაძლევაში. სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია ციკლის ყველა შემადგენელი ნომრის ინტერპრეტაციული ანალიზი და წარმოდგენილია ტექნოლოგიური და მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც სასარგებლო იქნება მომდერლისთვის კომპოზიტორის მხატვრული ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

დისერტაციის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული კვლევის შედეგები, რომლებიც პასუხობენ ნაშრომის დასაწყისში დასმულ კითხებებს:

რაში მდგომარეობს დ. ანდრულაძის მეთოდის პრაქტიკული მნიშვნელობა? როგორ გამოვიყენოთ შესწავლილი მეთოდური პრინციპები სმის ფონაციური აპარატის დამცავი მექანიზმის ფუნქციით თანამედროვე მუსიკის შესრულების დროს?

მომდერალი, რომელიც სრულყოფილად ფლობს დ. ანდრულაძის ვოკალურ მეთოდს, აღჭურვილია ყველა იმ თვისებებით, რომელთაც ითხოვს თანამედროვე საოპერო სცენა და ვოკალურ-კამერული უანრი. დ. ანდრულაძის სწავლება მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვს, რაც პრაქტიკოს-შემსრულებლებს და ვოკალის პედაგოგებს დაეხმარება დიდი ხელოვნის მეთოდურ-პრაქტიკული დანატო-

ვარის ერთ მთლიანობად გააზრებასა და გამოყენებაში. სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეული დიდი ქართველი მომღერლის და პედაგოგის მეთოდიკა ვოკალური მუსიკის შემსრულებლის ფონაციური აპარატის დაცვის, მისი ინდივიდუალური ვოკალური სტილის თავისებურებების სრულყოფისა და XXI საუკუნის ჭეშმარიტ მსახიობად ჩამოყალიბების ბრწყინვალე საშუალებაა.

დისერტაციის ძირითადი შედეგები ასახულია ავტორის შემდეგ პუბლიკაციებში:

1. ნ. ვოლჩენკო. „დ. ანდრეულაძის ვოკალური მეთოდიკა“. აზერბაიჯანი: საერთაშორისო მუსიკალური კულტუროლოგიური ჟურნალი Harmony, განთავსებული 03.11.2010. მის: <http://harmony.musigi-dunya.az/RUS/reader.asp?txtid=437&s=1>.
2. ნ. ვოლჩენკო. დავით ანდრეულაძის ფენომენი. „ლოტერატურა და ხელოვნება“. თბილისი: გამომცემლობა „ნაციონალური მწერლობა“, 2010წ.
3. ნ. ვოლჩენკო. ბარიტონის ჩამოყალიბება. ინტერვიუ ე. გერამესთან. თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტების სამეცნიერო შრომათა კრებული. სერია: მუსიკისმცოდნეობის საკითხები. რედ.: წურწუმია რუსულან და სხვები. თბილისი, 2010.
4. ნ. ვოლჩენკო. გარდამავალი რეგისტრის მოხურვის ხერხის დაუვლები ტექნიკა. Musiqi Dunyasi. ბაქო. 2010 წ.
5. ნ. ვოლჩენკო. ხმის მოხურვის ტექნიკა, როგორც მომღერლის ფონაციური აპარატის დამცავი მექანიზმი. გენჯ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია, 2010 წ. მის: http://gesj.internet-academy.org.ge/ru/title_ru.php?b_sec=§ion_l=muz